საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/605

ქ. ბათუმი 09 ოქტომბერი, 2019 წ.

,,ბსუ-ს 2018-2019 სასწავლო წლის კურსდამთავრებული, აკადემიური დავალიანების მქონე ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის და ზოგიერთი სტუდენტისათვის 2019-2020 სასწავლო წლის ბოლომდე სწავლის ვადის გაგრძელების თაობაზე'' ბსუ–ს რექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის №01- 08/566 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13, 66–ე მუხლების, ,,ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის №06-01/70 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს 2018-2019 სასწავლო წლის კურსდამთავრებული, აკადემიური დავალიანების მქონე ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის და ზოგიერთი სტუდენტისათვის 2019-2020 სასწავლო წლის ბოლომდე სწავლის ვადის გაგრძელების თაობაზე'' ბსუ–ს რექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის №01- 08/566 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:

ა) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ბსუ–ს სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის თაობაზე აქტის გამოსაცემად ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 აგვისტოს №01-08/383 ბრძანებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეჩერდეს *დანართი 1* – ით განსაზღვრულ ბსუ-ს სტუდენტთა მიმართ და 2019-2020 სასწავლო წლის ვადით (2019 წლის 16 სექტემბრიდან) გაუხანგრძლივდეთ ბსუ-ში სწავლის ვადა.''

ბ) ბრძანების მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,10. ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 16 სექტემბრიდან.''

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ფაკულტეტებს.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).
4. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**